197 მთავრობის მოამგე

საქართველოს რესპუბლიკა

ოფიციალური გაზეთი წელიწადი მესამე

ფასი 10 მან. ოთხშაბათი, სექტემბრის 1 1920 წ.

მთავრობის მოამგე, ოფიციალური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ხე გ. 10 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 300 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 100 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20·% რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

კანტორისაგან.

ხელფასისა და ქაღალდის საგრძნობად გაძვირების გამო 1 სექტემბრიდან გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“

ღირება თვეში 200 მ. ცალკე ნომერი უველგან 10 მ.

გაზეთი 1 სექტემბრიდან წლის ბოლომდე ღირს 800 მ. ვისაც გაზეთი გამოწერილი აქვს ძველ ფასებში მან უნდა გამოგზავნოს დამატებითი ფასი თვეში 130 მანეთი, წლის ბოლომდე დასამატებელი 520 მანეთი.

საერთო განცხადების ფასი 1 გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 მან., 4 გვერდზე 10 მან., ხოლო საბუთების დაკარგვის შესახებ განცხადებანი 160 მანეთი, სამოსამართლო უწყების სავალდებულო განცხადებანი 100 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომა (15×2) 300 მანეთი. ნისია განცხადების დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20 პროც. კერძო პირების განცხადებანი **ნისიად არ დაიბეჭდება.**

უფასოდ განცხადებები არ დაიბეჭდება

და მათ შესახებ კანტორა არავითარ მიწერ-მოწერას არ მართავს.

სამხედრო სამინისტროს სამნეო განყოფილება ამით აცხადებს,

რომ 1920 წ. 15 სექტემბერს დილის 12 საათზედ მოხსენებულ განყოფილებაში სიტყვიერი და წერილობითი განცხადებით

საჯარო ვაჭრობით იჯარით გაიცემა 1 წლის ვადით

ქ. ტფილისში დაბანაკებულ ჯარის ნაწილებში ხორცის და ცხიმის ჩაბარება. დაწვრილებით ცნობები მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ ყოველ დღე სამნეო განყოფილების სასურსათო სექციაში ბარიათინსკის ქუჩა № 10 დილის 9 საათიდან შუადღის 3 საათამდე.

869 3—1

ბორჯომის სახელმწიფო მამულის სამმართველო ამით აცხადებს

რომ ოქტომბრის 6 ენკენისთვეს ამა წლის ქ. ბორჯომში სამმართველოს კანტორის ბინაზე დილის 10 საათზე

დანიშნულია ზეპირი შეჯიბრება

ლიკანის ბაღში ხეხილის მოსავლის იჯარით გაცემაზედ. შეჯიბრება დაიწყება 100.000 მანეთიდან. შეჯიბრებაში მონაწილეობის მიმღებთ ევალებათ სამმართველოს სალაროში წინ და წინ შეიტანონ ერთი მესამედი შეფასებულ თანხისა. დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება ყოველ დღე სამმართველოში.

868 3—2

მიმდინარე წლის 1 ოქტომბერს, ტფილისის ტან-სავარჯიშო საზოგადოება „შევარდენში“ განათლების სამინისტროს ნებება დართვით, გაიხსნება 8 თვიანი უფასო

კურსები

ტან-ვარჯიშული სკოლა.

სკოლაში მიიღება ორივე სქესის პირები, საშუალო განათლებით აღჭურვილნი, არა უმცირესნი 18 წლისა და ჯანსაღნი. დარჩენილ თავისუფალ ადგილებზე შეიძლება ჩაირიცხონ საშუალო სასწავლ. 6 კლასის და ბოლოს 4 კლასის კურსდამთავრებულნი. სწავლა იწარმოებს დილის 8 სათიდან 1-ლ საათამდე.

ყველა კურსდამთავრებულთ მიეცემათ შტატის ადგილი ტან-ვარჯიშობის მასწავლებლისა რესპუბლიკის სასწავლებელში.

თხოვნები, სასწავლებელში ჩარიცხვის შესახებ, მიიღება ყოველ დღე დილის 12-დან —1-ლ საათამდე არა უგვიანეს 15 სექტემბრისა განათლების სამინისტროში ტან-ვარჯიშობის მთავარ ინსტრუქტორის სახელზე. თხოვნასთან უნდა იქნას წარმოდგენილი მოწმობები: 1) განათლების შესახებ და 2) მეტრიკული.

სწავლის დაწყებამდე ყველა მსმენელები გაშინჯულ იქნებიან ექიმების მიერ.

859 6—3

ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობა

იწვევს საგნების და ენების სრულ უფლებიან მასწავლებლებს ჩოხატაურის საერობო გიმნაზიისთვის. აგრეთვე იწვევს გამგეებს და მასწავლებლებს მაზრის საერობო უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელთათვის. მასწავლებლები მიიღებენ (გიმნაზიაში აკ) გარდა შტატის ჯამაგირისა, ბინას და გათბობა განათებასაც. თხოვნები საბუთებით უნდა გადმოიგზავნოს ოზურგეთში, სამაზრო ერობის გამგეობაში.

866 5—2

ოფიციალური განყოფილება.

განკარგება

ტფილისის კომენდანტისა.

30 აგვისტო, 1920 წ., № 13.

1.

ხშირათ სამსახურის დროს ქალაქში ხვდებიან უსაქმოდ მოსიარულენი, როგორც ოფიცრები ისე ჯარის კაცებიც. ამასთანავე მათი თავყრილობის ალაგს წარმოადგენს რუსთაველის პროსპექტი. მეცადინეობის საათებში ნაცვლად ქალაქში სეირნობისა ყველა სამხედრო მოსამსახურენი უნდა იყვნენ თავთავის ალაგას. ვიძლევი წინასწარ გაფრთხილებას, რომ მზგავს მოვლენას მომავალში მიექცევა სერიოზული ყურადღება და სამსახურის დროს უსაქმოდ მოხეტიალენი დაიმსახურებენ სათანადო სასჯელს.

2.

ჩემ მიერ მიქცეულია ყურადღება, რომ ზოგიერთი ოფიცრები ჯარის კაცთა მიერ მისალმებაზე ან სრულებით არ უპასუხებენ ან და უპასუხებენ უხეიროდ. მზგავს მოქცევას მეტის-მეტად დაუშვებლად ვსთვლი, ამიტომაც მოვითხოვ ყველა ოფიცრებიდან ურთი-ერთ მისალმებაზე ყურადღებიან მოპყრობას, არავითარი უხეშობა არ იქმნას ამაში დაშვებული და ზედ მიწევნით დაცული იქნას ამის შესახებ არსებული დებულება.

3.

მიუხედავათ იმისა, რომ გარკვეულად და სწორედ არის ნაჩვენები ფორმის ტარების შესახებ არსებულ წესდებაში როდის და რომელ შემთხვევაშია სავალდებულო იარაღის ტარება, ზოგიერთი სამხედრო მოსამსახურენი დაწესებულ ფორმას არ იცავენ, ამიტომ მოვითხოვ, რომ სამხედრო პირნი სამსახურის საქმეების გამო უფროსთან თუ მეუფროსეს. თან გამოცხადებისას, მწყობრში და სხვა და სხვა ცერემონიებზე დასწრების დროს აუცილებლივ ატარებდნენ მითვისებულ სავალდებულოდ დადგენილ იარაღს.

4.

ხშირად სამხედრო მოსამსახურენი ქალაქში ცხენით მოგზაურობისას მიაჭენებენ ცხენებს ქუჩაში რასაც სასტიკათ ვკრძალავ. ქუჩაში ცხენით სიარული შეიძლება მხოლოდ ნაბიჯით. ვაცხადებ რა ამას სამხედრო პირთა საყურადღებოთ წინადადებას ვაძლევ მტკიცედ დაიცვან ეს წესი მგზავრობისა. საკომენდანტო სამმართველოს ზედამხედველობის პირთ უბრძანებ ნაჩვენებ ალლუირზე ზევით მავალნი დააკავონ და წარმოადგინონ საკომენდანტოში.

ტფილისის კომენდანტი
გენერალი **მიქაშავიძე.**
კომენდანტის ადიუტანტი ლეიტენანტი
ჯაში.

—

იუსტიციის მინისტრისა.

24 აგვისტო 1920 წ., № 319.

დაინიშნოს: იუსტიციის მინისტრის პირადი მდივნის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად ალექსანდრე დიმიტრის ძე თაყაიშვილი ამა წლის აგვისტოს 1-დან.

26 აგვისტო, 1920 წ., № 320.

გადაყვანილ იქმნას: ლორის უბნის გამომძიებელი იოსებ გრიგოლის ძე ტატიშვილი შულავრის უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად ამა წლის აგვისტოს 30-დან.

26 აგვისტო, 1920 წ., № 321.

დაინიშნოს: ფოთის 11 უბნის გამომძიებელი ტარასი გიორგინ ძე ნიჟარაძე ჭუთაისის ოლქის სასამართლოს საგანგებო საქმეთა გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად ამა წლის აგვისტოს 26-დან.

№ 322.

ჭუთაისის ოლქის სასამართლოს საგანგებო საქმეთა გამომძიებლის თ. ა. ტარასი გიორგის ძე ნიჟარაძე მივლინებულ იქმნას ქ. ბათუმში საგანგებო საქმეთა გამომძიებლის თანამდებობის აღსასრულებლად ამა წლის აგვისტოს 30-დან.

იუსტიციის მინისტრი **რ. არხენიძე.**

—

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა.

27 აგვისტო, 1920 წ., № 261.

განთავისუფლებულ იქმნას: დასასვენებლად ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს კანცელარიის საქმის მწარმოებლის თანაშემწე ოლღა ალექსანდრე სოკოლოვის ასული ამა წლის 27 აგვისტოდან 6 სექტემბრამდე.

№ 262.

დანიშნულ იქმნას: ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს საერთო კანცელარიის საქმის მწარმოებლად ფარნაოზ გრიგოლის ძე ბურჭულაძე ამა წლის 26 აგვისტოდან.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი
ს. **ავალიანი.**

არა ოფიციალური განყოფილება

იუსტიციის სამინისტროში.

მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობა.

იუსტიციის მინისტრმა წინადადება მისცა მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობას, რომ გაგზავნოს ერთი თავისი წევრი ბათომს მომრიგებელ მოსამართლის მოვალეობის აღსასრულებლად.

სააპელაციო საჩივრები

იუსტიციის მინისტრმა მთავრობაში შეიტანა წინადადება, რომ ბათომში მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის მოწყობამდი მომრიგებელ მოსამართლის განაჩენზე სააპელაციო საჩივრები განსახილველად ოზურგეთის მაზრის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობას გადაეცეს.

ფინანსთა სამინისტროში

დეკრეტი მადნის შესახებ

სექტემბრის 2 ფინანსთა სამინისტროში ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტის დირექტორის ალშიბაიას თავმჯდომარეობით მოხდება საუწყებათაშორისო თათბირი მადანზე, დეკრეტის ინსტრუქციის გამოსამუშავებლად. ამ ინსტრუქციის გამომუშავებას დიდ მნიშვნელობას აძლევენ, ვინაიდან გაძლიერებულ ზომების მიღებას სცდილობენ მადნეულობის საექსპლოატაციოთ.

მიწად-მოქმედების სამინისტროში.

ტყეების დაცვა

მიწათ-მოქმედების სატყეო განყოფილებამ ტყვიბულის ტყის გამგეს ერობის წარმომადგენელებთან ერთად ტყეების დათვალიერება მიანდო. წაბლის ტყე, რომელიც ტყვიბულიდან ნაქერალასკენ მიმავალ გზაზე მდებარეობს ხელშეუხლებლად ცხადდება. ტყის გამგეს გეგმისა და აღწერის შედგენა მიენდო. სატყეო განყოფილება ერობათა წარმომადგენელების თათბირს იწვევს. თათბირის მიზანია ზომების შემუშავება იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც სახაზინო ტყეს სცარცვავენ.

უცხოეთი

(საინფორმაციო ბიუროს ცნობები)

„ბოსფორი“ საქართველოს სავაჭრო დამოკიდებულების შესახებ.

„ბოსფორი“ ბათომსა და საქართველოსთან არსებულ სავაჭრო დამოკიდებულებას საგანგებო წერილს უძღვნის. გაზეთი აღნიშნავს, რომ სავაჭრო გზა საქართველოსა და ევროპას შორის მიდის კონსტანტინოპოლზე რომელმაც საქართველოსთან სავაჭრო დამოკიდებულების მოწესრიგებაში ევროპას ხელი უნდა შეუწყოსო. საქართველოს ბაზარს შეუძლია ძვირფას საქონლის მოწოდება. ამასთანავე მას შეუძლია მრავალ საქონლის გასაღება. გაზეთი სიამოვნებით აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობა ნებასრთავს თავისუფლად ვაჭრობას და უცხო ვაჭრებს საქართველოს ქალაქებში საქონლის მიტანის შეძლებას აძლევს. დასასრულ გაზეთი აღნიშნავს, რომ ოსმალეთმა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებთან მტკიცე სავაჭრო დამოკიდებულება უნდა დაიკავოსო.

გაზეთი „ვლასტ სოვეტა“.

გაზეთი „ვლასტ სოვეტა“ ფაბრიკა ქარხნების კომიტეტთა კონფერენციის მიერ მიღებულ რეზოლიუციას აქვეყნებს. კონფერენციაზე პოპულიარულმა ბოლშევიკმა იკმანმა გააკეთა მოხსენება, რომელშიაც იგი აღნიშნავდა: „6 წლის შეუწყვეტელმა ომმა ქვეყანა სრულ განადგურებამდე და ეკონომიურ სიღატაკემდე მიიყვანა. ჩრდილოეთისა და ცენტრის მუშებს არა აქვთ პური, ხორცი და სხვა სურსათ სანოვაგე. სამხრეთის მუშებს და გლეხებს არა აქვთ მანუფაქტურა და საწარმოო იარაღები“ კონფერენციამ მრეწველობის განსამტკიცებლად სათანადო რეზოლიუცია გამოიტანა. სხვათა შორის გადაწყდა: „დაუყონებლიც შემოიღონ შრომის დაჯილდოება და წაქეზებითი სისტემა. გამოეცხადოს სასტიკი ბრძოლა შრომის დეზერტირებს და შემოიღონ საამხანაგო დისციპლინარული სასამართლოები“.

ლ. ჯორჯი საბჭოთა რუსეთის და ოსმალეთის შესახებ.

„ტანი“ ლოიდ-ჯორჯის, საბჭოთა რუსეთის და ოსმალეთის ნაციონალისტების შორის არსებულ დამოკიდებულებას უბრუნდება. ტანი იუწყება: თანახმად არსებულ ნამდვილ ცნობებისა, საბჭოთა მთავრობამ ოსმალეთთან პოლიტიკურ ეკონომიური კავშირი შეკრა. ბოლშევიკები უფრო გონიერად მოქმედებენ, ვიდრე ის ლოიდ-ჯორჯს გონია. აღმოსავლეთში არსებული მოვლენები ჩვენ უნდა შევაფასოთ რუსეთისა და ოსმალეთის შორის ძველათ არსებულ განწყობილების თვალსაზრისით, რომელიც მათ ქიშპობაში გამოიხატებოდა.

ინგლისმა თავისი ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ ყირიმიდან აღმოსავლეთში გადაიტანა ინგლისი ეხმარება კონსტანტინოპოლს, თეირანს, და ათინას, ბალშევიკები კი ქემალ-ფაშას, სპარსეთის ნაციონალისტებს და სხვებს თუ ბალშევიკებმა მცირე ახიის პოლიტიკაში თავის მიზანს მიაღწიეს მაშინ ინდოეთის მშვიდობიანობა საეჭვო გახდება.

(გაზეთებიდან)

მეორე ანტანტა.

ვენიდან იტყობინებიან, რომ მცირე ანტანტამ ახალი ნაბიჯი გადასდგა. იგი სხვათა შორის თხოულობს ჰუნგრეთის მომჭმედ არმიის შემცირებას 35 ათას ჯარის კაცამდე.

სომხეთი და საფრანგეთი.

ერთ ერთ საფრანგეთის გაზეთში დაბეჭდილია წერილი სომეხთა საკითხის შესახებ. წერილი ეხება უმთავრესად ოსმალეთის საზავო ხელშეკრულებას და დასძენს, რომ მოკავშირეებმა უნდა საბოლოოდ იზრუნონ ამ ხელშეკრულობის დაცვაზე და სომხეთის დღევანდელი მდგომარეობის გამოსწორებაზე.

ხალილ ფაშა და ბოლშევიკები.

ხალილ ფაშას ბოლშევიკებმა წინადადება მისცეს რომ მას ეკისრა აღმოსავლეთ საბჭოთა ჯარის მთავარ სარდლობა, მაგრამ მან ეს წინადადება არ მიიღო. ხალილ ფაშა ბაქოდან გავიდა. როგორც დანამდვილებით ლაპარაკობენ იგი მიემგზავრება ქემალ ფაშისაკენო.

წითელ არმიელთა განწყობილება.

ბაქოდან ჩამოსულნი გადმოქვცემენ, რომ წითელ არმიელთა განწყობილება მეტად ინ. დიფერენტიულია. მათ შორის ძალიან მოიკი. და ფეხი აპატიამ და უიმედობამ. არავის არა სურს ბრძოლის ველზე გასვლა. ყველას საყვედური აკრავს პირზე.

შეერთებულ შტატ. პრეზიდენტი.

ნიუიორკიდან იუწყებიან, რომ შეერთებულ შტატებში ახალი პრეზიდენტის არჩევნებისათვის ჯერ-ჯერობით ისევ სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ ზოგიერთ წრეებში დაჟინებით ლაპარაკობენ, რომ პრეზიდენტად შეერთებულ შტატებში არჩეული იქნება დემოკრატიულ პარტიიდან კოკსი. თუმცა შესაძლოა კანდიდატურაში მოჰყვეს რესპუბლიკანელების კანდიდატი გარდინგიც.

რუმინეთის პარლამენტის არჩევნები.

რუმინეთის პარლამენტის არჩევნები უკვე დასრულდა. პარლამენტში მოჰყვნენ შემდეგი პარტიის წარმომადგენელნი: სახალხო (მთავრობის) პარტიას—215 დეპუტატი ჰყავს პარლამენტი. ფედერალისტ-დემოკრატებს—34, ბესარაბიის გლეხთა კავშირს—25, ნაციონალურ პარტიას—21, სოციალისტებს—19, დამოუკიდებელ დემოკრატებს—6, საქსონელებს—6.

იტალიის დეპუტატთა პალატის შემადგენლობა.

საბოლოოდ გადაწყდა იტალიის დეპუტატთა პალატის შემადგენლობა. პალატის შემადგენლობა ასეთია: დემოკრატ ლიბერალები არიან 88 დეპუტატი; სახალხო პარტიის (კათოლიკური) 99, რადიკალები 57, განახლებულნი 33, ლიბერალ რესპუბლიკანელები—10, სოციალისტები 10, ლიბერალ რეფორმისტები 10, უპარტიონი—17. ამ უკანასკნელთ ეკუთვნის ყოფილი პრემიერი ნიტტი.

გერმანია და მესამე ინტერნაციონალი.

მესამე ინტერნაციონალის კონგრესზე მოსკოვში აღმასრულებელმა კომიტეტმა სხვათა შორის ითათბირა გერმანიის „დამოუკიდებელთა“ კონგრესსზე დაშვების შესახებ. აღმასრულებელ კომიტეტმა გერმანიის „დამოუკიდებელთ“ წარუდგინა 10 მუხლი, რომელიც „დამოუკიდებელთათვის“ სავალდებულოდ ხდის მეორე ინტერნაციონალს და მხოლოდ ამ 10 მუხლის მიღების შემდეგ კონგრესი შესაძლოდ დაინახავს გერმანიის „დამოუკიდებელთა“ კონგრესზე დაშვებას. ამ 10 მუხლის შესახებ გაზეთი „ფორვერსტი“ სწერს, რომ მთელი ეს წამოყენებული მუხლები სწორედ სოციალიზმის წინააღმდეგ არის მიმართული. არც ერთი ადგილი არ არის რომ არ მოწმობდეს ბოლშევიკების პოლიტიკის უნიადიგობას. მათი მოწოდება არის იარაღისკენ და ომიანობისკენ.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

გერმანული პრესა.

სამხრეთ-სლავიასა და ჩეხო-სლოვაკიის შეთანხმება.

გერმანულ სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ სამხრეთ სლავია და ჩეხო-სლოვაკია სავსებით შეთანხმდენ რუმინიასთან შეერთების საკითხის შესახებ. სლოვაკთა მინისტრი ბენეში ბუქარესტს გაემგზავრა. საფრანგეთი სცდილობს უნგრეთთან დაახლოვებას და თანაც ეშინია, რომ მცირე ანტანტა, რომელიც ნეიტრალობას აცხადებს რუსეთ-პოლონეთის ომში, წინააღმდეგი არ წავიდეს ბალკანეთში საფრანგეთის პროგრამის განხორციელებისა. ამ მიზნით საფრანგეთმა ბუქარესტს გაგზავნა მარშალი ფორი. მარშალი ფოშიც იქ უნდა წასულიყო.

რუმინეთის მდგომარეობა.

რუმინეთის მდგომარეობას ართულებს ის გარემოება, რომ ყოველი უნგრელი ოცნებობს რუმინეთის მიერ ბუდაპეშტის დაკავების გამო მისთვის სამაგიეროს გადახდაზე. უნგრელები ამბობენ: მხოლოდ რუმინეთის დაპყრობა მოგვაშორებს ამ ეროვნულ სიძულვილსო.

ავერესკუს მთავრობის გადადგომა.

პრემიერ ავერესკუს მთავრობა გადადგა. სოციალისტთა ლიდერმა ოლირესკუმ თავს იდვა შედგენა წმინდა სოციალისტური მთავრობისა, ახლანდელ კოალიციონურ მთავრობის მაგივრად. ამ გარემოებამ შეიძლება ხელი შეუწყოს რუმინიის დაახლოვებას მცირე ანტანტასთან.

რუსეთი და პოლონეთის ფრონტი.

ამერიკაში მიღებული ცნობით დღეს რუსეთმა პოლონელების შეტევის შესაჩერებლად გროდნოდან ბელოსტოვის მიმართულებით გაგზავნეს 40 ათასიანი ჯარი.

მოლაპარაკება რუსეთსა და პოლონეთს შორის.

ჩიჩერინმა პოლონეთის დელეგაციას წინადადება მისცა საზავო მოლაპარაკების ნეიტრალურ ქვეყანაში გადატანის შესახებ. ზოგიერთ ორგანულ გაზეთების აზრით კომისარს სახეში აქვს ესტონეთი, სადაც საბჭოთა მთავრობის გავლენა გაძლიერებულია.

ლიტვის ჯარები ვილონში შაბათს შევიდა. ვილონი რუსებმა აგვისტოს 25 დასტოვეს.

ვრანგელის ოპერაციები ყუბანში.

კონსტანტინოპოლი. თანახმად აგვისტოს 26-დან სევასტოპოლიდან მოსულ ცნობებისა ყუბანის ფრონტზე სასტიკი ბრძოლები გრძელდება.

ვრანგელის ჯარებმა 1000 ტყვე წამოიყვანეს. დნეპრზე ბრძოლები გრძელდება.

მარკოში საფრანგეთის ჯარებმა სენტი-სადენის რაიონში ბენი-უარენლები დაამარცხეს. ფრანგების გამარჯვებამ აჯანყებულთა მეზობლებზე დიდი გავლენა მოახდინა.

პოლონეთის დელეგაცია უარყოფს ხმებს, რომ გენერალ ვეიგანის ვარშავიდან წასვლას რაიმე კავშირი ქონოდეს, პოლონეთის სარდლობასა და მის შორის, თითქოს, ჩამოვარდნილ უთანხმოებასთან.

ახალი ამბები

საფრანგეთის მისია. ერევნიდან ტფილისს დაბრუნდა საფრანგეთის სამხედრო მისიის უფრსი პოლკ. კორბეილი.

წიგნაკები. შრომის სამინისტრო შეუდგა დახმარების მისაცემად წიგნების შედგენას. ეს წიგნები შემდეგ დაეგზავნება ერობებსა და ქალაქებს, საიდანაც მიიღებენ პენსიონერები დახმარებას.

ქალაქების გამშვენიერება. ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტი მუშაობს ქალაქების გამშვენიერების მიზნით მთელ რიგ პროექტების განსახორციელებლად, რესპუბლიკის არსებული ქალაქები უმთავრესად ძველი გეგმის მიხედვით არის გაშენებული და ერობათა მთავარი კომიტეტი მუშაობს მთელ რიგ ქალაქების ლანჩხუთის, ოზურგეთის, გორის, თელავის, ხაშურის და სხვათა გეგმის შესამუშავებლად. გეგმის შედგენის შემდეგ ახალ ქუჩებს გაიყვანენ და განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მადნების, პარკებისა და სამაზრო ადგილების მოწყობას. ამასთანავე ქალაქთა კავშირი დიდ ყურადღებას აქცევს ქალაქების სანიტარულ მდგომარეობის მხრივ გაუმჯობესების საქმეს, როგორც მაგალითად წყალსადენების გაყვანას, დახურულ ბაზრების მოწყობას და სხვა. მთელ რიგ ქალაქებში ამ მხრივ ღებულობენ კიდეც სათანადო ღონისძიებებს. ქალაქმა სურამმა საფუძველი ჩაუყარა გამშვენიერების საქმეს და ააგო მშვენიერი თეატრი. დიდ ყურადღებას აქცევენ ქალაქ ბათომის მოწყობას.

გადასახადი ხასოფლო-სამეურნეო შემოსავალზე. საგანგებო თათბირმა, რომელიც ფინანსთა მინისტრმა მოიწვია სასოფლო მეურნეობის შემოსავალზე გადასახადის გადიდების საკითხის განსახილველად, დაადგინა გადიდდეს გადასახადი 600%-ით. მომავალში სასოფლო მეურნეობის შემოსავალზე გადასახადს სამაზრო ერობა დააწესებს.

ამერიკის წარმომადგენელი. ამერიკის კომიტეტის წარმომადგენელმა საქართველოს მთავრობას მადლობა გადაუხადა მახლობელ აღმოსავლეთში სურსათის გადაგზავნის ხელის შეწყობისათვის.

დახმარების ნორმა. სექტემბრის პირველიდან შრომის სამინისტრო ადიდებს დახმარების ნორმას. თვიური დახმარება არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო დაწესებულების უმცროს მოსამსახურის ნახევარ ჯამაგირს. ქვრივები ღებულობენ იმის ნახევარს, რაც ერგებოდათ ქმრებს, უწლოვანი ბავშვები კი მეოთხედს.

ელექტრონის გზა ტფილისსა და კოჯორს შუა. აგვისტოს 31 საღამოს 8 საათზე ქალაქთა კავშირის ბინაზე ტფილისის და კოჯორის თვითმართველობათა წარმომადგენლების შეერთებული სხდომა შესდგება. სხდომაზე განიხილავენ საკითხს ტფილისსა და კოჯორს შუა ელექტრონის გზის გაყვანის შესახებ.

ტფილისის სადარაჯო ათასეულში. ოთხშაბათს, 1 სექტემბერს, ათასეულის დაარსების წლის თავის აღსანიშნავად გაიმართება საღამო შემდეგი შინაარსით: ვალ. ჯუღელი გააკეთებს მოხსენებას მომენტზე, წარმოდგენილი იქნება 3 მოქმედებიანი პიესა „ცმბირელი“. წარმოდგენის შემდეგ გაიმართება ცეკვა, ლატარეია, აუქციონი. დაუკრავს სამხედრო მუსიკა.

სამხედრო სკოლაში თხოვნების მიღება გრძელდება ახალგაზდებს 1 ხარისხის უფლებით (ესე იგი გადაყვანილ მე-7 კლასში) შეუძლიან თხოვნების შემოტანა მათი მიღების შესახებ ვაკანსიის შევსებამდე.

მფრინავ კილტავის დაკრძალვა. სექტემბრის 1 დილის 8½ საათზე პ. კილტავას გვამს გამოიტაწებენ თავის ბინიდან და წაასვენებენ სამხედრო ტაძარში დღის 1 საათზე გვამს გაასვენებენ დიდუბის სასაფლაოზე იქვე დაკრძალავენ.

ფუნიკულიორი. ფუნიკულიორის მოძრაობა ამ დღეებში განახლდება მაღლა ასვლა ეღირება 30 მანეთი შუა ადგილამდე 15 მ. და ძირს დაშვება 20 მანეთი.

დეკლარაცია თავისუფალ ვაჭრობაზე

ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის სამინისტრომ ევროპაში მყოფ საქართველოს რესპუბლიკის მისიების საშუალებით თავისუფალ ვაჭრობის შესახებ შემდეგი რეზოლიუცია გამოაქვეყნა: „ორი წლის განმავლობაში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოს სახით არსებობის დროს მას ჩამოშორებული ჰქონდა ბათომი—ისეთი ნავთსადგური, რომელიც ევროპისაკენ პირდაპირ გზას უხსნიდა. ივლისის 7 ბათომი საქართველოს შემოუერთდა და ქალაქში ქართული ადმინისტრაცია დამყარდა. ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის სამინისტრო იმედოვნებს, რომ მომავალში საქართველოს კულტურული და ეკონომური დამოკიდებულება ევროპასთან გაადვილებული იქნება. სამინისტრო ყოველ გვარ ზომებს იღებს რომ ეს დამოკიდებულება განამტკიცოს და უცხო სახელმწიფოებთან კეთილ მეზობლური ეკონომიური დამოკიდებულება დაამყაროს. საქართველოს ნავთსადგურები თავისუფალ ვაჭრობისათვის გახსნილია. სამინისტრო უზრუნველ ყოფს ყველას, ვინც კი საქართველოში საქონელს შემოიტანს მათ არავითარ რეკვიზიციას არ მოუხდენენ, და ვაჭრობა მთელი რესპუბლიკის ტერიტორიაზე არაფრით არ იქნება შეზღუდული. სამინისტრო არ სდგამს ისეთ ნაბიჯებს, რომლებიც უცხო ვაჭრების ინტერესებს ეწინააღმდეგებოდეს. ამ ვაჭრებს ეძლევათ უფლება საქონლის თავისუფალ შემოტანისა და ვაჭრობისა. სამინისტრო არ ზღუდავს ვაჭრობას არავითარ ნიხრით და ფასის დაწესებით. გამონაკლისს შეადგენს თუთუნების საქონელი, რომელთა შემოტანა საქართველოში აკრძალულია. ყველა შემოტანილ საქონელზე ვაჭრებმა მხოლოდ განსაზღვრული საბაჟო გადასახადი უნდა გადაიხადონ. ეს გადასახადი საჯაროდ არის გამოცხადებული და მოთავსებულია მთავრობის ოფიციალურ ორგანოებში. იღებს რა მხედველობაში, რომ საქართველო არის გზა, რომლითაც შეუძლიან ევროპას სომხეთთან, ადერბეიჯანთან და სპარსეთთან დამოკიდებულების დაკავება, სამინისტრო სრულ უფლებას აძლევს ვაჭრებს საქართველოს ნავთსადგურებიდან საქონლის ტრანზიტისას ჩამოთვლილ სახელმწიფოებში. ყოველგვარი საქონელი, რომელიც უცხო ვაჭრის მიერ იქნება საქართველოს საზღვრებში შემოტანილი, არის პატრონის ხელუხლებელი საკუთრება და სამინისტრო მათ სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებში ვაჭრობის სრულ თავისუფლებას აძლევს. სურსათ-სანოვაგის და სამონოპოლიო საქონლის (როგორიც არის მარგანეცი, თამბაქო, მატყლი და აბრეშუმი) თავისუფლად ყიდვა-გაყიდვის აკრძალვის გარდა, ყველა სხვა საქონელით ვაჭრობა თავისუფალია და სამინისტრო სრულიად არ ჩაერევა მასში. ასეთ სავალიუტო საქონლის გატანა, როგორიც არის ტყე, ქვა-

ნახშირი და ტყავი, მომარაგების სამინისტრო აწესრიგებს. დანარჩენი საქონლის გატანა შეიძლება სრულიად თავისუფლად. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო იმედოვნებს, რომ რესპუბლიკის ნავთსადგურებით საქონლის თავისუფალი შემოტანა მოგებას მოუტანს, როგორც რესპუბლიკის მცხოვრებთ, ისე უცხო ვაჭრებს, რომელთა საქონელს ფართო ბაზარი გაეხსნება.

თევზის მრეწველობა საქართველოში

ვაჭრობა-მრეწველობის კომიტეტში ამ დღეებში შავი ზღვის სანაპიროებზე თევზის მრეწველობის განვითარების საკითხი განიხილეს. ფინანსთა მინისტრს სათანადო მოხსენება წარუდგინა გ. გარიმ, რომელიც აღნიშნავს, რომ ბათომის ოლქის შემოერთების შემდეგ საქართველო დაახლოვებით შავი ზღვის ნაპირას 250 ვერსის სიგრძეზე მფლობელობს. ამ ჟამად ეს ზღვის ხაზი თევზის მრეწველობის მხრივ სრულიად არ არის გამოყენებული. საქართველოსშ ეუძლია ზედმეტი თევზის ევროპისათვის მიწოდება, დანარჩენით კი კონსერვების დამზადება. მოხსენებაში აღნიშნულია კერძოთ საჭიროება დელფინების დაჭერისა. დასასრულ გარი საქართვ. მფლობელობის ქვეშ მყოფ ზღვის ხაზზე თევზის მრეწველობის მოწყობის უფლებას ითხოვს. ამ საკითხების განხილვის დროს ვაჭრობა მრეწველობის პალატაში აღნიშნეს, რომ ზღვის სიმდიდრის დაუმუშავებლობა დიდი ნაკლულოვანება არისო. ამ საქმის მოგვარების შემდეგ შეიძლება არა მარტო მცხოვრებლების თევზით უზრუნველყოფა, არამედ შეიძლება საზღვარ-გარეთ თევზის ქონის გატანაც. ამისათვის საჭიროა თევზის მრეწველობის ფართო ნიადაგზე დაყენება, ესე იგი უნდა შეიქნეს თევზის საჭერ გემების ფლოტილია, უნდა შეიძინონ ბადეები და სხ. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთკე დელფინების დაჭერას და ქონის შოვნას, ქონის საჭიროა სხვა და სხვა საქონლის დასამზადებლად. ამ მოსაზრებით ვაჭრობა-მრეწველობის პალატამ მიმართა ვაჭრობის მინისტრს განცხადებით, რომელშიაც იგი აღნიშნავს, რომ გარის მიერ აღძრულ საკითხს ეროვნულ მრეწველობის განსანვითარებლად დიდი მნიშვნელობა აქვსო, განსაკუთრებულ ყურადღება უნდა მიექცეს დელიფინების ჭერას რომლის ქონის გარდა ტყავსაც დიდი ფასი აქვსო. თევზის მრეწველობას მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ამ ჟამად ბაზარზე ადგრბეიჯანთან კავშირის დაკარგვის გამო თევზის დიდი ნაკლულევანება არის.

ვალიუტის საქმის მოწესრიგება.

სახელმწიფო ბანკის საბჭომ ვალიუტის საქმის მოწესრიგების მიზნით მთავრობას შემდეგი დებულებები წარუდგინა დასამტკიცებლად 1) ეკონომიურ საბჭოს დაარსებამდე განზრახულია ფინანსთა მინისტრის თავმჯდომარეობით საგანგებო თათბირის მოწყობა, რომელშიაც შევლენ: მომარაგების სამინისტროს, სახელმწიფო კონტროლის და სახელმწიფო ბანკის წარმომადგენლები. ამ თათბირს უფლება ეძლევა გამოსცეს განკარგულებანი შემდეგი საკითხების შესახებ: ა) რესპუბლიკის ფარგლებში ვალიუტის ოპერაციის წარმოების შესახებ, ბ) საჭიროების დროს, როგორც ოპერაციების, ისე იმ დაწესებულებათა შემცირების, შესახებ რომლებიც ამ ოპერაციებს აწარმოებს, მ) საგარეო ვაჭრობის მოწესრიგების შესახებ, 2) ყველა ფულის ნიშანი, გარდა ამიერ-კავკასიის და საქართველოს ბონებისა, საზღვარ გარეთის ფულის ნიშნებად უნდა ჩაითვალოს; 3) სახელმწიფო ბანკიდან უნდა მოეწყოს სავალიუტო ფონდი, რომელშიაც გადაირიცხება 25% იმ მოგებისა, რომელსაც ნახავს მთავრობა, ან მისი ორგანოები საზღვარ გარეთიდან წარმოებულ ოპერაციებიდან; 4) ჩამოთვლილ დადგენილებათა ცხოვრებაში გატარება ევალება სახელმწიფო ბანკს, რომელმაც ამ მიზნისათვის უნდა შეადგინოს სავალიუტო კომიტეტი. ამ კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობა უნდა მიიღოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ტ ყველა იმ საკრედიტოდაწესებულებათა წარმომადგენელებმა რომლებსაც აქვთ ნებართვა სავალიუტო ოპერაციების წარმოების. კომიტეტის დადგენილება ძალაში შედის სახელმწიფო ბანკის გამგის დამტკიცების შემდეგ; 5) სავალიუტო კომიტეტის ორგანიზაციის პროექტი დასამტკიცებლად საგანგებო თათბირს უნდა წარედგინოს და 6) ისინი, რომლებიც საგანგებო თათბირის დადგენილებას დაარღვევენ, უმაღლეს სასჯელით უნდა დაისაჯონ. სახელმწიფო ბანკის საბჭოს ეს პროექტი მთავრობამ უახლოეს სხდომაზე უნდა განიხილოს.

ეკონომიური ცხოვრება.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ შემდეგი განცხადება გამოაქვეყნა ვაჭრობა-მრეწველობის თავისუფლების შესახებ:

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, ორი წლის არსებობის განმავლობაში ჩამოშორებული ჰქონდა ჭ. ბათომი, ეს საუკეთესო ნავთსადგური და პირდაპირი გზა ევროპისაკენ.

ივლისის 7-ს ბათომი შეუერთდა საქართველოს და ქალაქშიც დამყარდა რესპუბლიკის ადმინისტრაცია.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო იმედოვნებს, რომ ამ დღიდან მისი კულტურული და ეკონომიური ურთიერთობა ყველა ქვეყნებთან იქნება გაადვილებული.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს მიერ მიღებულია ყოველგვარი ზომები, რათა უფრო მძლავრად იქნეს განმტკიცებული ეს ურთი-ერთობა და დამყარდეს კეთილმეზობლური ეკონომიური განწყობილება უცხო სახელმწიფოებთან.

რესპუბლიკის ნავთსადგური ღია არის თავისუფალ ვაჭრობისათვის.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო გარანტიას აძლევს ყველას, ვინც კი შემოიტანს რესპუბლიკის საზღვრებში საქონელს, რომ მათი საქონელი თავისუფალი იქნება ყოველგვარი რეკვიზიციისაგან და რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე საქონლის თავისუფლად გაყიდვას არავითარი დამაბრკოლებელი მიზეზები არ ექნება. (არ იქნება შევიწროება და განსაზღრა).

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო არა სდგამს ისეთს ნაბიჯებს, რომელიც ეწინააღმდეგებოდეს უცხოელ ვაჭრების ინტერესებს, სამინისტრო აძლევს მათ უფლებას თავისუფალ შემოტანის და თავისუფალ ვაჭრობის და არა შეზღუდავს მათ არავითარი განსაზღვრული ფასებითა და ნიხრით, გარდა ფუფუნების იმ საგნებისა, რომელთა შემოტანა სრულიად აკრძალულია რესპუბლიკის საზღვრებში.

ყოველგვარ შემოტანილ საქონელზე გადახდილ უნდა იქნეს მხოლოდ ჩვეულებრივი საბაჟო გადასახადი; რომელიც დაწესებულია კანონით და გამოქვეყნებულია ყველას საყურადღებოთ მთავრობის ოფიციალურ ორგანოებში.

სამინისტროს აქვს რა მხედველობაში, რომ საქართველოთი არის პირდაპირი გზა სომხეთში, ადერბეიჯანში და სპარსეთში,—ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინ. აძლევს ყველა ვაჭრებს თავისუფალი ტრანზიტის უფლებას ზემო ჩამოთვლილ სახელმწიფოებში.

საქართველოს რესპუბლიკაში შემოტანილი ყოველგვარი საქონელი უცხო ვაჭრების მიერ, აღიარებულია მათი ხელშეუხებელ საკუთრებათ. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო უტოვებს მათ უფლებას, როგორც თავისუფალი ვაჭრობისას რესპუბლიკის ტერიტორიაზე, აგრეთვე თავისუფალ ტრანზიტისა მეზობელ სახელმწიფოებში.

სამინისტროს სურვილია უცხოელ ვაჭრებთან საქონლის გაცვლა-გამოცვლის გაადვილება, რისთვისაც იგი სცდილობს შიგ სახელმწიფოში მოსპოს ზედმეტი შევიწროება თავისუფალი ვაჭრობისა, გარდა ყიდვა-გაყიდვისა პირველ მოთხოვნილების სურსათ სანოვაგისა და მთავრობის მიერ სამონოპოლიოდ გამოცხადებულ საქონლებისა, როგორიც არის: შავი ქვა, აბრეშუმი, მატყლი და თამბაქო.

სავალიუტო საქონლის როგორც მაგალითად: ტყის, ქვანახშირის და ტყავის გატანა შეიძლება მათვის დაწესებულ სათანადო ნებართვით, რომელსაც აწესრიგებს მომარაგების სამინისტრო; ყველა დანარჩენ საქონლის გატანა შეიძლება სრულიად თავისუფლად, მხოლოდ კანონიერ საბაჟო გადასახადის გადახდით.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო იმედოვნებს, რომ თავისუფალი ვაჭრობის დაწესება რესპუბლიკის ნავთსადგურებში ნაყოფს მოუტანს ორივე მხარეს, როგორ რესპუბლიკის მცხოვრებთ, აგრედვე უცხოელ ვაჭრებს, რომელთა სიქონელი ფართო ბაზარს მოიპოვებენ რესპუბლიკაში.

სანიტარული საქმის რეორგანიზაცია.

სამხედრო სამინისტროს სანიტარულმა სექციამ სამხედრო მინისტრს წარუდგინა მოხსენება სანიტარულ ნაწილის რეორგანიზაციის შესახებ. მოხსენებაში აღნიშნულია სანიტარულ სექციის გამოყოფის საჭიროება დამოუკიდებელ ერთეულად. იგი უშუალოდ დაექვემდებარება სამხედრო მინისტრს. ამ მოხსენების მიხედვით ექიმები დამოუკიდებელნი იქნებიან ჯარის წყობილების უფროსებიდან. ჯარის ნაწილების უფროსი ექიმები უნდა იყვნენ კომანდირების მრჩევლებად და ყველა მათი ჩვენება სანიტარულ საქმის გაუმჯობესების შესახებ ცხოვრებაში დაუყონებლივ უნდა იქნეს გატარებული. სამხედრო სასანიტარო ნაწილი უნდა იყოს რესპუბლიკის უმაღლესი დაწესებულება, რომელიც ჯარში მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის ზომებს გამოიმუშავებს. ამასთანავე უნდა გაჯმჯობესდეს ექიმების უფლებრივი და მატერიალური მდგომარეობა. ნამსახურ წელთა რაოდენობის მიხედვით სამხედრო ექიმებმა უნდა მიიღონ მომატება ძირითად ჯამაგირზე. განსაზღვრულ დროის განმავლობაში პროვინციაში სამსახურის შემდეგ ექიმები უნდა გადაიყვანონ ცენტრალურ ადგილებზე. სამხედრო სასანიტარო ნაწილს უფლება უნდა ჰქონდეს, რომ სამხედრო ექიმები სპეციალიზაციის მიზნით საზღვარ გარედ გაგზავნოს. სამხედრო ნაწილებში უნდა იყოს კბილის ექიმთა თანამდებობაც, თუნდაც ერთი ექიმი ყოველ ბრიგადაში. მათ უნდა ჰქონდეთ მოძრავი კაბინეტი. ამ ექიმთა ჯამაგირი როტის უფროსის ჯამაგირს უნდა უდრიდეს. მოხსენებაში ნათქვამია: სასურველია ტფილისის ჰოსპიტალი გაიხსნას უნივერსიტეტთან და მოეწყოს აგრეთვე კლინიკა. ჰოსპიტალში უნდა იყვენ სამეცნიერო ძალები და სტუდენტებიც პრაქტიკაზე აქ მუშაობდენო. დასასრულ მოხსენებაში აღნიშნულია: სასურველია სამხედრო ექიმებსა და სანიტარებისათვის განსაზღვრული ფორმა არსებობდესო.

ერობა

ერობათა მოღვაწეობა.

ერობათა კავშირის კომიტეტი თავის მოხსენებაში საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ ერობის დაწესებულებათა მოღვაწეობის შესახებ აღნიშნავს, რომ გარდა ცალკე საერობო ერთეულების მოღვაწეობისა ადგილი ჰქონდა ერობათა კავშირის კომიტეტის მოღვაწეობასაც. ერობათა კავშირის კომიტეტმა იმ მიზნით, რომ მოეწესრიგებინა საერობო მოღვაწეობა და დახმარებოდა ერობებს მოაწყო საინსტრუქტორო განყოფილება საექიმო-სასანიტარო, სტატისტიკური, აგრონომიული, საბეითლო და საბუხლალტერიო. ინსტრუქტორები იგზავნებოდენ სამაზრო და სათემო ერობებში. საერობო ორგანიზაციების მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად. ამ მიზნით მოეწყო გამოცდილ საერობო მოღვაწეობისაგან სპეციალური კომისია, რომელიც გაეცნო ყველა საერობო დაწესებულების მუშაობას და მათ საჭირო რჩევა-დანმარტებანი მისცა. ამ კომისიის მუშაობა მალე დაიბეჭდება და ცალკე წიგნად გამოვა. ამასთან ერობათა კავშირი სცემს ჟურნალს „ერობას“. მან თავს იდვა აგრეთვე საბავშვო, სახალხო და სპეციალურ საკითხების შესახებ წიგნების გამოცემა.

ტფილისის ერობა

ტფილისის სამაზრო ერობა იუწყება; რომ ზოგიერთ გაზეთებში გამოქვეყნებული ცნობა სართიჭალაში საქონლის ჭირის გაჩენის შესახებ, სამართლეს არ შეეფერება. სართიჭალაში და მის მიდამოებში გაჩდა საქონლის ავადმყოფობა, რომელსაც პიროპლასტიას (მალიარიას) ეძახიან. თავის დროზე მიღებულ ზომების გამო ავადყოფობა არ გავრცელებულა.

საინგილო

ალაზანს იქით საინგილოა, ალაზანსა და კავკასიონს შორის, ლაგოდეხის მაწიმწყალს იქით ვიდრე ნუხის საზღვრამდე, სიგძით 75 ვერსი, სიგანით ამდენივე, ხან 50 და მეტი ნაკლებიც.

ცოტაა სულ 3571,34 ოთგკუთხი ვერსი, მაგრამ ყოველისფერით შემკული, კოხტა და დიდებული.

ულრანი ტყეები, მრავალი ხევი და წყაროები, ცხელი გოგირდიანი სამკურნალო აბანოები, მრავალგვარი მადნეულობა, რომელიც ჯერ ხელუხლებლად არის მიწის წიაღში, ნიადაგის სიძლიერე, რომელიც აჩენს ათასნაირ ხილეულობას, ყურძენსაც კი გარეულად და რომელიც ზდის მრავალგვარ მარცვლეულობას, პირუტყვეულობას და არჩენს კაცს მცირე გარჯითაც კი, ყველა ეს ამშვენებს ჩვენს ქვეყანას, ჩვენი რესპუბლიკის უძვირფასესს სამკაულს.

შევეხები ისეთ კითხვებს, თუ საინგილოს რაგვარი და რა ზომის მასალა შეუძლია მიაწოდოს კახეთის რკინის გზას, რომელიც ეხლა, საინგილოს შებოჭვისა და დაკეტვის გამო გარეშეთაგან დიდს გაჭირვებას განიცდის.

ბრინჯი. ჩალთუჯი, რომლისაგან იჩურჩება საჭმელი ბრინჯი, ითესება მთელს მაზრაში და სინოყიერით სამნაირია, უკეთესი კი, ის რომელიც მოდის სოფელ ზარნოში და რომელიც ტფილისის ბაზარზე ცნობილია „ზარნად“ ანუ ზარნის ბრინჯად.

ბარზე მყოფი სოფლელები ყველანი სთესენ ჩალთუჯს, რომელიც მწიფდება სექტემბერში. სულ ცოტა დაითესება 100,000 ფუთამდე და რადგან მოსავალი იცის ერთი-ოცამდე და მეტიც, ამიტომ მისი შემოსავალი მაზრაში უნდა აჭარბებდეს 2—3 მილ. ფუთს თეხლისა და ადგილობრივ საჭიროების დასაკმაყოფილებელ რაოდენობის გამორიცხვის შემდეგ ჩალთუჯის წლიურ მოსავლიდან ბაზარზე გასატანად სულ ცოტა უნდა დარჩეს 1,000,000 ფუთი.

პურეული. პურიც სამგვარია, ამას გარდა ითესება კიდევ ფეტვი, ქერი. სიმინდი ითესება, როგორც ბოსტნეულს და მას ადგილობრივ სჭამენ (შემწვარს ანუ მოხარშულს). პური მოდის უხვად, ისე რომ გადასატანად აქედან დაშთება არა ნაკლებ 1—2 მილ. ფუთისა.

თხილი. საინგილო თხილის სამშობლოა. ამათი ბუჩქები გარეულადაც ბლომად ხარობს. ყოველ მეკომურს ბაღ-ვენახში, ხშირად ეზოშიაც, მოშენებული აქვს ოციდან, 200—300 ბუჩქი თხილნარი. თითო მოზდილი ბუჩქიდან ჩამოდის ნაჩურჩი თხილი 1—2 ფუთი. მთელს საინგილოში წლიურმთ შემოვა ორ მილ. ფუთამდე.

კაკალი (ნიგოზი). მთელი მხარე დაჩრდილულია უზარმარ კაკლის ხეებით. ამას გარდა კაკლის ხეებივე ორივ მხრივ ჩამწკრივებულია მთელის მაზრის შარა გზის 75 ვერსის მანძილზე. მიდიხარ ამ გზაზე და ზევიდან გფარავს კაკლის ხეებისა „ქოლგა“. ასევეა თვით სოფლის გზებსა. და შესახვევებში. ასე რომ მთელ მაზრაში მარტო სახელმწიფოს კუთვნილი, სახელმწიფო შარა გზის პირზე დარგული კაკლის ხეების რიცხვი იქნება ნახევარ მილიონამდე და რადგან თითონ ძირს სცვივა ათ ფუთამდე მაინც, ამიტომ მთელი ჯამი მაზრის მოსავლისა წლიურად უნდა უდრიდეს სამ მილ. ფუთს მაინც.

ადგილობრივ ნივგზისაგან ჰხდიან ფრიად ნოყიერს და სურნელოვან ზეთს, რომელიც ერბოზე მეტს ფასობს მის მარგებელ თვისების გამო.

ქლიავი. ქლიავი მრავალგვარია, ხოლო გასახმობად და გასაყიდად იხმარება ჩურჩა-ქლიავი. ამას სთუთქავენ, ახმობენ და ჰყიდიან, უმეტეს ნაწილს სცვლიან მარილზე. ამის საერთო რაოდენობის გამოთვლა ძნელია, თხილზე ნაკლები კი არ უნდა იყოს.

შვინდი ესეც მრავალგვარია და მზადდება კერკად.

ხილეულობა: ვითარცა ვაშლი, მსხალი, წაბლი, ალუბალს, ბალს, ატამს, ჭერამს ალარ ვთვლი, აუარებელია და აქედან კახეთის რკინის გზას ერგება გასახიდად ათას ფუთობით.

ბოხტნეულობა ძლიერ გავრცელებულია. ითესება საუკეთესო ჯიშის ნესვი, საზამთრო, აგრეთვე ხახვი, ლობიო, კიტრი, გოგრა, („ბაღური“, „ტრიანი“) და ამ ხმილებით დატვირთული ურმები მრავალ ათასობით მიადგებოდა ხოლმე სიღნაღს, თელავს და ტფილისსაც კი.

ღვინო. მევენახობა გაჩაღებულია მთელს მაზრაში, მეტადრე მის აღმოსავლეთ ნაწილში. საცა ქრისტიანი ინგილოები მოსახლეობენ. გზის ხსნილობის დროს აქედან გაჰქონდათ სიღნაღ-თელავ-ტფილისისკენ დიდძალი ღვინო და არაყი. ზოგიერთი მოხერხებული სოვდაგარი არაყის ხდითა და ვაჭრობით მილიონერი შეიქმნა. და ისეც მაშინ, როდესაც ფულის გეზი მაღალი იყო ია მისი შეძენა ჰსჭირდა.

მ. ჯანაშვილი

(დასასრული იქნება)

მილიციაში

სისხლის სამართლის მილიციამ 20 აგვისტოს დაატუსაღა პროფესიონალური ქურდი აბრამ გრაბოვსკი რომელსაც ბრალი ედება მრავალ ქურდობაში. მილიცია ორ თვეზე მეტია რაც მას დაეძებდა.

— სისხლის სამართლის მილიციამ დაატუსაღა ახალციხის მაზრის მცხოვრები არდავას არუტუნას ძე ტიუსტიანცი, რომელიც სხოვრობდა ავსენ პოლოსის ძე სააკიანცის პასპორტით.

ხელოვნება.

იტალიელი მომღერლები.

სახელმწიფო თეატრის გამგეობა იუწყება, რომ იტალიელი ბალაცი, რომელიც საქართველოსთან ფართო ხასიათის ვაჭრობას აწარმოებს, პირდება იტალიიდან საქართველოში მომღერლების უფასოდ ჩამოყვანას, ამ გვარად შესაძლებელია, რომ მიმდინარე სეზონში იტალიელი მომღერლები საქართველოს სახელმწიფო სცენაზე გამოვიდნენ.

ახალი ოპერა.

სახელმწიფო თეატრის გამგეობამ მოიწონა დასადგმელად კომპოზიტორ მ. ბალანჩივაძის ოპერა „თამარ ცბიერი". ოპერა მიმდინარე სეზონში დაიდგმება.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

დაიკარგა წიგნაკი № 144 ფულის დახმარების შესახებ ოლღა რევაზოვის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2461 3—3

დაიკარგა მორიგ-ჯარში გაწვევის უწყება № 35119 ივანე პეტრეს ძე ადამაშვილის სახელზე, მიღებული მე-11 უბნის კომისარიატიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2477 3—3

დაიკარგა პასპორტი სერგეი არიუთინის ძე მირაბიანცის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2481 3—2

დაიკარგა ქუთაისის წმ. ნინოს საქალებო სასწავლებლის დამთავრების დოკუმენტები ეკატერინე სამსონის ასული ქუთათელაძის სახელზე, მიღებული ამავე სასწაულებლიდან გაუქმებულად ჩაითვალოს. 2487 3—2

დაიკარგა საერთო განყოფილების 8 კლასის დამთავრების მოწმობა ფიგი ტიმოთეს ასული ტრიონ და ფილიდეს სახელზე, მიღებული ტფ. 2 ქალთა გიმნაზიიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2473 3—2

დაიკარგა პასპორტი ნაგი მირზა თაგი ოლღის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიციმეის ტრის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2464 3—2

დაიკარგა სათადარიგო ჯარში გადარიცხვის მოწმობა № 5400 პარუჩიკი აბესაძის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან 16|IX 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2465 3—2

ამით საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ თანახმად სავ. სახ. ძმ. გ. და ნ. ტერ-აბრამოვებისა და ამხ. წევრთა საზოგადო კრების დადგენილებისა (ოქმი № 45 1920 წ. ივნისის 13-ს შემდგარ კრებისა) და თანახმად ჩემდამიმიცემული რწმუნებულებისა, ამით ვაუქმებ ყველა მინდობილებებს, გაცემულს აღნიშნულ სავაჭრო სახლის მიერ თავის წევრების ან და სხვა ყველა თანამშრომლების სახელზე ვინაიდან ხდება აღნიშნულ სავაჭრო სახლის ლიკვიდაცია და მთელი აქტივი პასივი გადაეცემა ტფილისის ნავთის მრეწველთა და სავაჭრო აქციონერულ საზოგადოება „პეტროლს" სავ. სახ. გ. და ნ. ტერ-აბრამოვის და კომპ. ამხანაგი მომწესრიგებელი ივანე ნიკიტის ძე ტერ-აბრამოვი. 2488 3—2

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი იუდა მოსეს ძე ჩაჩანაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2468 3—2

დაიკარგა სამუდამო პასპორტი, მიღებული ტფ. სამაზრო სამმართველოდან 1912 წ. და სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. შაქრო ივანეს ძე ჩერქეზიშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2453 3—3

დაიკარგა სომხეთის ქვეშევრდომობის მოწმობა № 291 ერვანდ პაიტიანცის სახელზე, მიღებული ტფ. ვაჟთა გიმნაზიიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2476 3—2

დაიკარგა პასპორტი № 38 მიხეილ გალუსტის ძე პეტროსიანის სახელზე, მიღებული ბაქოში 1908 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2454 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა იოსებ ალექსის ძე ზარხასაშვილის სახელზე, მიღებული სამხედრო სამინისტროს სამნეო განყოფილების ფეხსაცმელების სახელოსნოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2455 3—3

დაიკარგა სამხედრო გამწვევ უბანზე მიწერილობის ბარათი დავით ივანეს ძე ყიასოვის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2387 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი, მიღებული ტფ. პოლიციმეისტრის სამმართველოდან, სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან, პირადობის მოწმობა და პურის ბარათი, მიღებული არსენალიდან გიორგი მათეს ძე კენჭიაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2441 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა მიხეილ იოსების ძე შმოისის სახელზე, მიღებული ბაქოს მილიციის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2462 3—3

დაიკარგა ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის წევრობის ბარათი № 455 თედო მირონის ძე ჯოხაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2498 3—1

დაიკარგა პროფესიონალური კავშირის „სურსათი" ს (продовольствие) საწევრო წიგნაკი სტილო გარიბოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2499 3—1

დაიკარგა საოჯახო პასპორტი მეიერ იაკობის ძე დავარაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2500 3—1

დაიკარგა ველოსიპედის ნებართვა № 17 არმენაკ შალომოვის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2503 3—1

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი ნიკოლოზ იოსების ძე ტუმაევის სახელზე, დამტკიცებული ტფ. ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსისაგან 1913 წ. რეესტრით № 11779. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2505 3—1

დაიკარგა პასპორტი ნადირ გაჯიევის სახელზე, მიღებული ტფ. მდაბიო მოქალაქეთა სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს 2506 3—1

დაიკარგა ტფ. პირველი კერძო ლომბარდის კვიტანცია № 88102—200 მან. ღირებულების. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2508 3—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 29 ივლისს 1920 წ. დამტკიცდა შესრულებული 21 ნოემბერს 1919 წ. სოხუმის ნოტარიუსის ზატვორნიცკის მიერ გაყრილობის სიგელი, რომლითაც ქ. სოხუმის მცხოვრ. ოტტონ ფრანცის ძე ზაგრაისკიმ და ვლადიმერ პეტრეს ძე ვერხოვსკიმ გაინაწილეს თავიანთი კუთვნილი საკუთრების უფლებით სანიტარნი უბანი № 26, მდებარე ქ. სოხუმში, იმნაირათ, რომ პირველს მათგანს ერგო სამხრეთი ნაწილი ამ უბნისა, ზომით 1975 ოთხკ. საჟ. ერთ-სართულიანი სახლით, და მეორეს ჩრდილოეთი ნაწილი იმავე უბნისა, ზომით 2125 ოთხკ. საჟ. ორსართულიანი სახლით. 2433 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 2 მარიობისთვეს 1920 წ. სიმტკიცის საქმეთა ნაწილში სოხუმის ოლქისა მე-9 ნაწილში, № 168, მე-106 გვერდზე აღნიშნულია აღმასრულებელი ფურცელი, გაცემული ხონის სამომრიგებლო უბნის მომრიგებელ მოსამართლის მიერ 13 მაისს, 1920 წ. № 331 მამულზე, რომელიც შეიძინა ქ. ხონის მცხოვრ. ვარდენ ალექსის ძე წივწივაძემ და რომელიც ეკუთვნოდა ქ. ხონის მცხოვრ. სალომე სვიმონის ასულს ჯაკაბაძეს და მარერა სვიმონის ძე კუპრაძეს, მდებარე ქ. გუდაუთაში, უბ. 25—28, რომელიც შეადგენს მიწის ნაკერს ზომით 74, 40 ოთხკ. საჟ. შენობებით. 2433 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 29 ივლისს 1920 წ. დამტკიცდა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ქ. სოხუმის მცხოვრ. ვლადიმერ პეტრეს ძე ვერხოვსკიმ 10000 მან. მიჰყიდა ქ. სოხუმის მცხოვრ. მარია ანტონის ასულს ზაგრაიცკის ჩრდილოეთი ნაკერი სანიტარნი უბნისა № 26, ზომით ეს ნაკერი 2125 ოთხკ. საჟ. შენობებით მდებარე ქ. სოხუმში. 2434 1—1

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი ლევან ალექსანდრეს ძე ონანო ვაჩნაძის სახელზე, დამტკიცებული ტფ. ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსისაგან 1917 წ. მაისის 15ს რეესტრით № 1297, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2502 3—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს რომ 4 მარიობისთვეს 1920 წ. დამტკიცდა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ქ. გუდაუთის მცხოვრ. ვლადიმერ კობლუბის ძე ჯაკირბაიამ 50000 მ. მიჰყიდა ქ. სოხუმის მცხოვრ. ადიტერ მოსეს ძე ზაიდჰერს მიწის ნაკერი შენობებით, ზომით 75,80 ოთხკუთხ. საჟ., მდებარე ქ. სოხუმში, გოგოლის ქუჩაზე, უბ. 7, № 8. 2435 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს რომ 3 მარიობისთვეს 1920 წ. სოხუმის ოლქის სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში, მე-49 ნაწილში. № 2103, მე-205 გვერდზე აღნიშნულია შესრულებული სოხ. ნოტ. მგალობლიშვილის მიერ მიცემითი სიგელი 1920 წ. 24 ივნისს № 15-ით, რომლითაც ქ. სოხუმის მცხოვრ. ნიკოლოზ გიორგის ძე ვეკუამ, შეიძინა უძრავი ქონება კუთვნილი ქ. გუდაუთისა მდებარე ქ. გუდაუთაში, უბ. № 169, №№ 1 და 2 რომელიც შეადგენს ორი მიწის ნაკერს, ზომით 500 ოთხკუთხ. საჟ., შენობებით. 2435 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს რომ 22 ივლისს 1920 წ. დამტკიცდა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ქ. სოხუმის მცხოვრ. ტატიანა და ოლიმპია საჩინოს ასულმა თურჩიებმა 40000 მან. მიჰყიდეს ქ. სოხუმის მცხოვრ. მელიტონ-მამანტი ფილიპეს ძე თურჩიას აღმოსავლეთი ნაწილი მიწის ნაკერისა შენობებით ზომით 102, 63 ოთხკუთხ. საჟ. მდებარე ქ. სოხუმში კანდუჩტორის ქუჩაზე, უბ. ლიტ. „Щ" № 2. 2434 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს რომ 24 ივლისს 1920 წ. სოხუმის ოლქის სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში მე-49 ნაწილში, № 2101, მე-199 გვერდზე აღნიშნულია შესრულებული გუდაუთის ნოტარიუსის კოზმავას მიერ მიცემითი სიგელი 1920 წ. 4 ივლისს № 4-ით, რომლითაც ქ. გუდაუთის მცხოვრ. ევარავსია სერგის ასულმა აკოპოვამ შეიძინა უძრავი ქონება კუთვნილი ქ. გუდაუთის მდებარე ქ. გუდაუთს, უბ. 191 რომელიც შეადგენს მიწის ნაკერს № 26-ით, ზომით 624, 58 ოთხკუთხ. საჟ. შენობებით. 2435 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს რომ 30 ივლისს 1920 წ. დამტკიცდა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ქ. გუდაუთის მცხოვრ. ეპრაქსია სერგია აკოპოვის ასულმა 18738 მან. მიჰყიდა ქ. გუდაუთის მცხოვრ. იოსებ სიკოს ძე ჰავჰანიძეს მიწის ნაკერი, შენობებით ზომით 624, 58 ოთხკუთ. საჟ. მდებარე ქ. გუდაუთში, მდინარე გუდაუს გაღმა, უბ. 191, № 24-ით. 2436 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს რომ 11 აგვისტოს 1920 წ. დამტკიცდა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ქ. სოხუმის მცხოვრ. ელენე მიხეილის ასულმა და ეკატერინე ლევანის ასულმა მალანიამ 40000 მან. მიჰყიდეს ქ. სოხუმის მცხოვრ. იაკობ ვასილის ძე და ლინა სტანისლავის ასულს რაშკოვსკებს ნაწილი მიწის ნაკერი, შენობებით ზომით 1202, 56 ოთხკუთხ. საჟ. მდებარე ქ. სოხუმში №№ 37 და 38. 2434 1—1

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი სარქის მიხეილის ძე პაპულაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან გაუქმებულად ჩაითვალოს. 2516 3—1

დაიკარგა მეტრიკა გეურქ გიგოლას ძე ხაჩატურიანცის სახელზე, მიღებული სომხეთის კონსისტორიიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2519 3—1

დაიკარგა მოწმობა ბაბილინა ბურჭულაძის სახელზე, მიღებული ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობიდან. 1919 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2497 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა ზაქარია ნიკოლოზის ძე კედენიევის სახელზე, მიღებუტფ. პოლიტეხნიკუმიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2509 3—1

დაიკარგა სიმწიფის მოწმობა და 8 კლ. დამთავრების მოწმობა, ვალენტინა კონსტანტინეს ასული დვალის სახელზე, მიღებული ტფ. ქალთა მეორე გიმნაზიიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2510 3—1

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან და სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან გრიგოლ ივანეს ძე მანუჩაროვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2520 3—1

სახელმწიფო სტამბა. რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი